# სპეც.ტანსაცმლის ტექნიკური დახასიათება

<u>მამაკაცის სამუშაო შარვალი (დათბილული):</u>

**მასალა**-ბამბაპოლიეთერული ქსოვილი, ქსოვილში ბამბის შემცველობა არანაკლებ 60%, ქსოვილის სიმჭიდროვე არანაკლებ 250-300გ/სმ$^2$. შარვალი სწორი, ჩაშვებული, წინა ნაწილზე დახრილი ჯიბეები. შუა წვივზე შარვალს ტოტის გარშემო მიკერებული აქვს 3სმ-იანი სიგანის მანათობელი. მარჯვენა და მარცხენა მხარეს გვერდით ნაკერზე აქვს მოცულობითი ჯიბე, ჯიბის კანტი შესრულებულია სხვა ფერის ქსოვილით, ჯიბე იკვრება ფხრიწით. შარვალს უკანა ნაწილზე საჯდომის მიდამოში აქვს ორი ზედნადები ჯიბე, ჯიბეს აქვს სხვა ფერის სარქველი, რომელიც იკვრება ტექნიკური შესაკრავით (ფხრიწით), შარვლის ქამარი 4სმ-ია, ქამრის უკანა ნაწილი დამუშავებულია რეზინით, აქვს 5 საქამრე. შარვლის ბოლო დამუშავებულია 2 სმ-იანი რეზინიანი შენაკეცით, შარვალი იკვრება ელვა შესაკრავით, ერთი ღილით და ღილკილოთი.

მამაკაცის სამუშაო ქურთუკი (დათბილული):

**მასალა**-ბამბაპოლიეთერული ქსოვილი, ქსოვილში ბამბის შემცველობა არანაკლებ 60%, ქსოვილის სიმჭიდროვე არანაკლებ 250-300გ/სმ2. ქურთუკი შეკერილია ლურჯ ფერში, ზედა ნაწილის ბოლოში დაკერებულია 3სმ-იანი მანათობელი, ზედა ნაწილზე წინ დაკერებული აქვს ორი ჯიბე, მარცხენა ჯიბეზე მიკრული აქვს გამჭვირვალე პლასტიკი ბეიჯის ჩასადებად, ქვედა ნაწილში აქვს ორი ჯიბე, ასევე შიდა ორივე მხარეს აქვს ჯიბე. შუა მკლავზე აქვს 3 სმ-იანი მანათობელი, მკლავები ბოლოში იკვრება ფხრიწით, ქურთუკი იკვრება ელვით და ფხრიწით, ზურგზე კომპანიის შესაბამისი ლოგოთი.